ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N3

31 იანვარი 2020 წელი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილი იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის №13 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი www.matsne.gov.ge 01/05/2019 სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.124.016369) და დანართი N2 ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი რედაქციით (დანართი N2 თან ერთვის).

მუხლი 2.

დამტკიცდეს პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა, კორექტირებული დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე: შალვა მშვილდაძე

დანართი N 2

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა

N	ღონიძიებების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	94/6	94	6
2	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარე ფასადების რეაბილიტაცია	94/6	94	6
3	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალმომარაგება-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა	90/10	90	10
4	პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია	90/10	90	10
5	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შიდა რემონტი და პანდუსების მოწყობა	90/10	90	10
6	ეზოების კეთილმოწყობა	90/10	90	10